 სსიპ კოლეჯი “ახალი ტალღა”

07/03/2025

MES 2 25 0001-04/45

ბრძანება №01-04/45
სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღაში” 2025 წლის მიღებაზე აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დადგენის შესახებ

„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერებისა მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 04 მარტის N232437 ბრძანების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 05 მარტის N237297 წერილის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის „ი“ პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ 2025 წლის მიღებაზე, აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა დადგინდეს 2025 წლის 03 ივლისიდან 2025 წლის 18 ივლისის ჩათვლით.
2. ბრძანებაზე კონტროლი და შესაბამისი ღონისძიებების გატარება დაევალოს ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მართვის კოორდინატორ ქალბატონ ნელი ღუდუშაურს;
3. ბრძანებაზე კონტროლი და შესაბამისი ღონისძიებების გატარება ასევე დაევალოს კოლეჯის დირექტორის მოადგილე ბატონ კახა ბოლქვაძეს, სასწავლო პროცესის მენეჯერ ქალბატონ ნატო რომანაძეს, საზოგადოებასთან ურთიერთობების მართვის მენეჯერ ქალბატონ ნინო მჟავანაძეს, საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის მენეჯერ ბატონ ჭაბუკი ვერულიძეს, ხულოს მისამართზე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერ ქალბატონ ნინო გრძელიძეს, სასწავლო პროცესისა და სტუდენტური სერვისების სპეციალისტ ქალბატონ გულნარა ლაბაძეს;
4. დაევალოს კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების ქსელის ადმინისტრატორ ბატონ დენის ლადიგინს საჯაროობის მიზნით ბრძანების განთავსება კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში. მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა №30;
6. ბრძანება ამოქმედდედ ხელმოწერისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო/
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები/
სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა"/
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
მეგრელიძე ირმა

ელექტრონულად
მზამზეულია
ელექტრონულად